

ბიულეტენი

№ 52
2001
მარტი

საქართველოს
სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი



ISSN 1512-0813

თბილისის ბიუჯეტი

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის
ინფრასტრუქტურის ინსტიტუტი

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

C 02 - 00941

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი

გიორგი ნანობაშვილი
განმარტება

თილისის ბიუჯეტი 2

თინათინ მკინარიშვილი

საქართველოს ფასიანი მართლმართვის ბაზრის
ინფრასტრუქტურის მსაზღვრებელი 41

„Etat der Stadt Tbilisi. Infrastruktur des Wertpapiermarktes in
Georgien“;

Bull 52; März 2001

Auflage: 1000
Verfasser: Zentrum für Strategische Studien und Entwicklung Georgiens
Seitenzahl: 54
Sprache: Georgisch
Originaltitel: 'tbilisis biujeti, saqartvelos pasiani qagaldebis bazris
infrastruqturis institutebi`

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

C 02 - 00941



გიორგი ნანობაშვილი
ბესო ბრეგაძე

ბიუჯეტის ცეკვა

„ბიუჯეტი არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციის და განაწილების ძირითადი ფინანსური გეგმა“. მისი არსი უმინიმუმ შენელებს ხასიათს ატარებს როგორც, სახელისუფლო ორგანოებისათვის, ასევე საზოგადოებისათვის და მთლიანად ქვეყნისათვის. მოხსენების მიზანია ქვეყნის დაგვარად აისახოს ფისკალური პოლიტიკის და თბილისის ბიუჯეტის მაგალითზე ადგილობრივი ბიუჯეტების რეალური საფრთხი 1998-2000 წლების მიხედვით, რათა მაქსიმალურად თვალსაჩინო გახდეს ის პრობლემები, რომლებიც საბიუჯეტო სისტემის სრულყოფისათვის ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენენ.

ზემოთ აღნიშნული საბიუჯეტო სისტემა, მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების (მათ შორის ქ. თბილისის) ბიუჯეტებს, რომლებიც სრულიად დამოუკიდებელი არიან. 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად საქართველოში ფუნქციონირებს 900-მდე სხვადასხვა სახისა და დონის ბიუჯეტი. ჩამოყალიბდნენ საკრებულოები, რომელთა საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა, დამტკიცება და საბოლოო ანგარიში, აგრეთვე საბიუჯეტო შემოსავლების წყაროების განსაზღვრა თუ სხვა. რაც შეეხება გამგეობებს, მათ უშუალოდ სისრულეში მოჰყავთ საკრებულოების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი. საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტიის შესაბამისად ყველა ეს ბიუჯეტი დამოუკიდებელია. მათი დამოუკიდებლობის გარანტია ისიც, რომ ისინი არ შეიძლება იყვნენ რომელიმე სხვა, უფრო მაღალი დონის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი, ან შექმნან სხვა ასეთივე ბიუჯეტითან ერთად რაიმე ერთობლივი ბიუჯეტი და ა.შ. საქართველოს კანონმდებლობით ადგილობრივ ბიუჯეტებს განსაზღვრული წესით ადგენენ ადგილობრივი საფინანსო ორგანოები და იგი ემყარება: „შემოსავლების საკუთარ წყაროებს, დამატებით შემოსავლებს, რომლებსაც გამოქმნიან ადგი-

ლობრივი მმართველობის ორგანოები და ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების მოთხოვნილებებს“.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საბიუჯეტო უფლებები რეალამეტირებულია ქვეყნის კონსტიტუციითა და საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ კანონით.

საქართველოს კანონმდებლობით (კერძოდ „საქართველოს კანონით საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“) ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლის წყაროებია:

- საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადები:
 - საშემოსავლო გადასახადი;
 - მოგების გადასახადი;
 - მიწის გადასახადი;
 - ქონების გადასახადი;
 - გადასახადი ქონების გადაცემისათვის;
 - გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაზიანებებისთვის;
 - გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;
- და აგრეთვე ადგილობრივი გადასახადები:
 - სამეწარმეო საქმიანობის გადასახადი (ეკონომიკური საქმიანობისათვის);
 - სათამაშო ბიზნესის გადასახადი;
 - საკურორტო გადასახადი;
 - სასტუმროს გადასახადი;
 - რეკლამის გადასახადი;
 - გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის;

საბიუჯეტო სისტემის და გამოყენება.

საქართველოს კანონმდებლობით რეგიონალური ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირება წარმოებს ადგილობრივი გადასახადებითა და მოსაკრებლებით; არასაგადასახადო შემოსავლებით, ზემდგომი ბიუჯეტების ანარიცხებით. ამ წყაროებს შორის თანაფარდობა დამოკიდებულია მართვის რეგიონალურ ორგანოებზე და კისრებულ ფუნქციებზე, ადგილობრივი გადასახადების აპოლენების პოტენციური შესაძლებლობებზე, აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლების ფინანსურ შესაძლებლობებზე.

ტერიტორიული ერთეულების შემოსავლების გამოყენების საკითხს დამოუკიდებლად წყვეტენ ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგა-

ნოები, გარდა მიზნობრივი ტრანსფერებისა და იმ სესხებისა, რომლებიც შეიძლება გადაეცეს მათ სხვა დონის ბიუჯეტებიდან, ძირითადად ცენტრალური ბიუჯეტიდან. ხოლო საქართველოს კანონით „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“ ადგილობრივი შემოსავლების წყაროები 2000 წლამდე იყო მოგების გადასახადის 60% და საშემოსავლო გადასახადის 60%, ხოლო 2001 წელს აღნიშნული გადასახადებიდან ადგილობრივ ბიუჯეტებს ეკუთვნით 85%.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს შემოსავლების დამატებითი წყაროების გამოძიება. შემოსავლების საკუთარი წყაროები ერთის მხრივ მოიცავს იმ საგადასახადო შემოსავლებს, რომლებიც განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსით და ასევე არასაგადასახადო შემოსავლებს. დამატებით შემოსავლებს კი წარმოადგენს ის სხვა შემოსავლები, რომლებსაც გამოქმნიან ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, აგრეთვე ის ტრანსფერები, რასაც ცენტრალური ბიუჯეტი გადასცემს ადგილობრივ ბიუჯეტებს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის.

ქ. თბილისის ბიუჯეტი შედგება რაიონული და საქალაქო ბიუჯეტებისაგან. ქ. თბილისში ბოლო წლებში მიმდინარე საბიუჯეტო პროცესები ნათლად მეტყველებენ, რომ საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში ადგილი აქვს სერიოზულ ხასიათის ნაკლოვანებებს, რაც იწვევს ცენტრალურ, თბილისის საქალაქო და რაიონულ ბიუჯეტებს შორის შემოსავლების არასწორ გამოყენებას და ბიუჯეტებით დაეგმილი ხარჯების სტრუქტურის დაუცველობას, რითაც უაღრესად რთულდება საბიუჯეტო პროცესის მართვა.

მნიშვნელოვანი საკითხია ბიუჯეტის შედგენა, რაც გულისხმობს შემოსავლების წყაროებისა და მისი განაწილების განსაზღვრას. ეს უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება როდესაც რესურსები შეზღუდულია, ხოლო მოთხოვნა კი შეუზღუდავი. ბიუჯეტის შედგენაში უფრო ძვილია, რაც უფრო დიდია განსხვავება რეალურ შემოსავლებსა და იმ მოთხოვნილებებს შორის, რაც საჭიროა რომ დაფინანსდეს.

სახელმწიფო ბიუჯეტი შედგება ცენტრალური და სახელმწიფო ფონდების ბიუჯეტები-საგან, ხოლო საბიუჯეტო სისტემაში გვაქვს სახელმწიფო ბიუჯეტი და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები. ამიტომ მნიშვნელოვან ხასიათს ატარებს თითოეული ბიუჯეტის სწორად შედგენა. ბიუჯეტის პროექტი

ექვემდებარება განხილვას და შემდგომ დამტკიცებას, რასაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ. თბილისის საკრებულომ 2000 წლის 2 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ეხება დედაქალაქის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების დროებით წესს, რომლის ძირითადი ნასათივე შემდგომში მდგომარეობს:

ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტის
ლაპარაკი და განხილვა

ქ. თბილისის პრემიერი, ქ. თბილისის მიმართულებებს, ქ. თბილისის საკრებულოს კომისიებთან შესათანხმებლად წარადგინა მიმდინარე საბიუჯეტო წლის იენისამდე;

ქ. თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია კოორდინაციას და ორგანიზაციას უწევს წარმოდგენილი ბიუჯეტის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განხილვასა და შეთანხმების პროცესს;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ცალკეულ საფინანსო, საგადასახადო, ეკონომიკური სამსახურებიდან, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა რეოლენიდან ითხოვს და იღებს საჭირო ინფორმაციას და ამზადებს დასკვნას ქ. თბილისის ბიუჯეტის შესახებ;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა შესაბამისი წინადადებითა და შენიშვნებით ეგზავნება ქ. თბილისის პრემიერს წარმოდგენიდან ორი კვირის ვადაში;

ქ. თბილისის საფინანსო სამმართველო ქ. თბილისის საკრებულოს კომისიებთან შეთანხმებული ძირითადი მონაცემების და მიმართულებების გათვალისწინებით და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე ამზადებს ნორმატიული აქტის პროექტს ქ. თბილისის ბიუჯეტის შესახებ, რომელიც ქ. თბილისის პრემიერს განსახილველად წარუდგინება მიმდინარე საბიუჯეტო წლის იენისამდე;

ქ. თბილისის პრემიერი ბიუჯეტის პროექტს ქ. თბილისის საკრებულოს წარუდგენს მომავალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე თვენახევრი თაღე მაინც;

ქ. თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტს იხილავს კომისიის სხდომებზე, რომელზეც ისმენს და ითხოვს განმარტებებს ცალკეული საფინანსო, საგადასახადო, ეკონომიკური და საქალაქო სამსახურებიდან, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებიდან, შესაბამისი ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან.

მ. თბილისის ბიუჯეტის პროექტის
შემაჯობისათვის

□ ახალი საბიუჯეტო წლის ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტი განიხილება ქ. თბილისის საკრებულოს სხდომაზე ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე საკრებულოს კომისიებში წინასწარი განიხილის შემდეგ;

□ ქ. თბილისის საკრებულოს სხდომაზე ახალი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტისა და მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშებს წარადგენს ქ. თბილისის პრემიერი;

□ მისივე მოსწონებულ თანვითავე ქ. თბილისის საკრებულოს ისმენს ქ. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიისა და ქ. თბილისის საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მოხსენებებს;

□ ქ. თბილისის საკრებულო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს ნორმატიულ აქტს ქ. თბილისის ბიუჯეტის შესახებ, რომლის ფარგლებშიც მტკიცდება:

➢ ქ. თბილისის ბიუჯეტი საქალაქო ბიუჯეტსა და ქ. თბილისის რაიონების ბიუჯეტების შემოსავლის (თითოეული წყარო) და ხარჯების (ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციით) მიმართულებით მიხედვით;

➢ ხარჯების შემოსავალზე მეტობის (დეფიციტის) არსებობა;

➢ სარევიზიო, მიზნობრივი და სხვა ფონდების მოძიება, მათი შემოსავლისა და ხარჯების სახეების გამოყოფით;

➢ საბრუნავი სახსრების გარდამავალი ნაშთის სიდიდე;

➢ სხვა დონის ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებიდან ანარიცხების ნორმატივები;

➢ ადგილობრივი ბიუჯეტებზე გამოსაყოფი მიზნობრივი ტრანსფერტების მოცულობები.

□ თუ თბილისის საკრებულო არ მიიღებს ნორმატიულ აქტს ქ. თბილისის ბიუჯეტის შესახებ, ქ. თბილისის საკრებულო შესაბამისი უბრუნებებით არა უმეტეს ორი კვირის ვადაში უბრუნებს პრემიერს ბიუჯეტის პროექტს. პრემიერი ბიუჯეტის პროექტის უკან დაბრუნებიდან არა უმეტეს ორი კვირის ვადაში წარუდგენს საკრებულოს ამ პროექტის შესწორებულ ვარიანტს;

□ თუ ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ვერ მოხერხდება ბიუჯეტის მიღება, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელ ხარჯებს გასწევნ თვეში წინა წლის ბიუჯეტის ფაქტიური მოცულობის ერთი მეთორმეტედის ოდენობით მიღებული შემოსავლის ფარგლებში;

□ ქ. თბილისის საკრებულოს ნორმატიულ აქტს „ქ. თბილისის ბიუჯეტის შესახებ“ იღებს საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

□ ქ. თბილისის საკრებულოს მიერ მიღებულ

ქ. თბილისის ბიუჯეტს ხელს აწერს ქ. თბილისის საკრებულოს თავჯდომარე და საკრებულოს მდივანი;

□ ნორმატიული აქტი „ქ. თბილისის ბიუჯეტის შესახებ“ ქვეყნდება პრესაში;

□ ქ. თბილისის ბიუჯეტის პროექტის განიხილისა და დამტკიცების ვადები შესაბამისად დაზუსტდება საქართველოს სახელმწიფო პროექტის განხილისა და დამტკიცების დადგენილი ვადების შეცვლის შემთხვევაში.

შემაჯობისათვის

1998 წელს ქ. თბილისის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავლებიდან საქალაქო ბიუჯეტში მთლიანად (100%-ით) უნდა ჩარიცხულიყო შემდეგი გადასახადები: 1) მიწის გადასახადი; 2) გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის; 3) რეკლამის გადასახადი; 4) გადასახადი ავტოსატრანსპორტის საშუალებათა პარკირებისათვის; 5) გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის; 6) სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული ქ. თბილისის კუთვნილი შემოსავლი. აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ 1998 წელს ქალაქის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავლებიდან რაიონულ ბიუჯეტებში მთლიანად (100%-ით) უნდა ჩარიცხულიყო და დარჩენილიყო მათ განკარგულებაში შემდეგი სახის გადასახადები: 1. საწარმოთა ქონების გადასახადი; 2. გადასახადი ქონების გადაცემისათვის, მათ შორის გადასახადი უძრავი ქონების გადაცემისათვის, გადასახადი მექვიდროებისა და ჩუქებისათვის, გადასახადი ავტოსატრანსპორტის საშუალებათა გადაცემისათვის; 3. ასევე გადასახადი მანქანიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის; 4. სათამაშო ბიზნესის გადასახადი; 5. სასტუმროს გადასახადი; 6. მოსაკრებლები და სხვა არასაგადასახადო შემოსავლები.

რაც შეეხება სახელმწიფოებრივი გადასახადების (დღგ, მოგება, საშემოსავლო) გამოიყენება ქალაქსა და ცენტრს შორის შედეგადიარადა იყო: დამატებული ღირებულების გადასახადი - 15% ეკუთვნოდა ქ. თბილისის ბიუჯეტს, ხოლო 85% ცენტრალურ ბიუჯეტს; მოგების გადასახადი - 60% ქ. თბილისის ბიუჯეტს, ხოლო 40% ცენტრალურ ბიუჯეტს; საშემოსავლო გადასახადი - ანალოგიურად მოგების გადასახადისა.

მ. თბილისის ბიუჯეტის 1998-99 წლების
საშემოსავლო ნაწილი

ადგილობრივი (რეგიონალური) ორგანოების არსებობისათვის აუცილებელია ფინანსური რესურსები, რომლის მთავარი წყაროა გადასახადები. გადასახადები წარმოადგენს ფინანსური

და იურიდიული პირების სავალდებულო გადასახადებს, რომლებსაც სახელმწიფო ამოიღებს.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების გარადამავალ პერიოდში ქვეყანაში მოქმედებს საგადასახადო-საბიუჯეტო კანონმდებლობა და შეუქმნა ქ. თბილისის მერიის სხვა ადგილობრივი ბიუჯეტებთან შედარებით ნაკლები დეფიციტის მქონე ბიუჯეტის შექმნის შესაძლებლობა. ქ. თბილისზე მოდის საქართველოს სამრეწველო პროდუქციის წარმოების თითქმის ერთი მეოთხედი, საცალო ვაჭრობის მოცულობის - 3/5, სამწარმოო სფეროში საქონლის წარმოებისა და მომსახურების განვეც - თითქმის 1/2, აგრეთვე ამავე სფეროში დასაქმებულია - 43%. აქედან გამომდინარე, ქ. თბილისის სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისაგან განსხვავებით ექნება უფრო მეტი პოტენციალის მქონე საშემოსავლო ბაზა. ქ. თბილისის ბიუჯეტის ზრდის ტენდენციით ხასიათდება (იხ. დიაგრამა №1).

1999 წელს ქ. თბილისის ბიუჯეტის შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტების (ავტონომიური რესპუბლიკების ჩათვლით) შემოსავლების 43-45%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც 90-იან წლებში ეს მაჩვენებელი 30-32%-ს არ აღემატებოდა.

ქ. თბილისის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა გარკვეულწილად განპირობა 1998-1999 წლებში დამატებული ღირებულების გადასახადიდან ანარიცხების (15%) ამ ბიუჯეტში დატოვებამ, საიდანაც მიღებულმა დამატებულმა შემოსავლებმა 15 მლნ ლარს მიაღწია.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის მიერ ქ. თბილისის ტერიტორიაზე 1998 წელს მისაღები სახელმწიფო შემოსავლების მოცულობა დაიგეგმა 122790.0 ათას ლარის ოდენობით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლების სახით 105550.0 ათას ლარი და არასაგადასახადო შემოსავლების სახით 3400.0 ათას ლარი.

მთლიანმა დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 119411.8 ათას ლარი. 1998 წლის თბილისის ფაქტიურმა ბიუჯეტმა შეადგინა 109692.5 ათას ლარი ანუ შესრულდა გეგმა 91.9% (იხ. ცხრილი 1 და 2) მართალია მთლიანი გეგმა არ შესრულდა. გარკვეული გადასახადები გეგმის ზემოთ იქნა შესრულებული მაგალითისათვის საკმარისია მიწის გადასახადი 113.3%, ეს მოხდა იმის ხარჯზე რომ, დაზუსტებული გეგმა ნაკლები იყო ვიდრე დამტკიცებული (4 მლნ ლარი). ეს უკვე იმაზე მეტყველებდარომ, ამ გადასახადის პოტენცილი არ გამოიყენებოდა სრულად. 1999 წელს ამ გადასახადის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 4545.0 ათას ლარს დაზუსტების დროს ეს მაჩვენებელი არ შემცირებულა და ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5301.7 ათას ლარი რაც აღემატება გეგმას 756.7 ათას ლარით, რის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ, მიწის გადასახადი მისწრაფის პოტენციალისაგან და გადასახადის ეს სახე შეიძლება შეიძლება

ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახდეს.

გადასახადი მანქანიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის - 158.0%, ამ გადასახადის გეგმა 1999 წელს გაზდილი იყო 5.5-ჯერ. აღნიშნული მაჩვენებელი ვერ შესრულდა და ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9529.3, რაც გეგმის 70.6%-ს შეადგენს, 1999 წლის ეს მაჩვენებელი კი წინა წლის ფაქტიურ შესრულებას აღემატება 5610.8 ათას ლარით.

ქონების გადაცემისათვის გადასახადს რომელიც დაგეგმილი იყო 300.0 ათასი ლარი, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 319.9 ათასი ლარი. ეს უკანასკნელი 263.5%-ით შესრულდა ანუ ამოღებული იქნა 842.8 ათასი ლარი. 1999 წელს ეს გადასახადი დაიგეგმა უკვე 900 ათასი ლარის ოდენობით ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1241.0 ათასი ლარი. ამ გადასახადს დიდი პოტენციალი ჰქონდა 1998-99 წლებში - ეს გადასახადი გეგმაზე გადაჭარბებით სრულდებოდა. ამიტომაც მიზანშეწონილი იქნება გადასახადი ქონების გადაცემისათვის ოპტიმისტურად დაიგეგმოს მომავალში.

სავალდებულო და არასაგადასახადო შემოსავლები გეგმა (შემოსავლები ტრანსფერტებისა და კაპიტალური შემოსავლების გარეშე) შესრულდა 86.9%-ით. ფაქტიურად მიღებული იყო 89127.4 ათასი ლარი, რაც 13428.5 ათას ლარით ნაკლებია გეგმასთან შედარებით. ეს მოხდა მეტწილად იმის ხარჯზე რომ, არ შესრულდა საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), გადასახადი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის, ქონების გადასახადის, სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

საშემოსავლო გადასახადის 1998 წლის გეგმის შესრულებლობის გამო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს დააკლდა 8453.6 ათასი ლარი (გეგმის 7.6%). საშემოსავლო გადასახადის გეგმა ამ წელს საქალაქო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 24751.5 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავლებმა კი შეადგინა 1714.5 ათასი ლარი, ანუ დაზუსტებული გეგმის 71.4%. 1999 წელს ამ გადასახადის გეგმა რომელიც თითქმის წინა წლის გეგმას უმნიშვნელოდ აღემატებოდა (36324.0 ათასი ლარი) შესრულდა 89.1%-ით. საშემოსავლო ნაწილს ამით დააკლდა 3378.9 ათასი ლარი. 1999 წელს საქალაქო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის გეგმა იყო 22284.7 ათასი ლარი, ამ წელს გეგმა შესრულდა 85.4%-ით, ანუ ამოღებული იქნა 19028.2 ათასი ლარი (იხ. დიაგრამა 4). 1998-99 წლებში საშემოსავლო გადასახადის შესრულებლობა გარკვეულწილად ინფორმაციის ნაკლებობის გამოც მოხდა, ასევე გასათვალისწინებელია პრეზუმციული გადასახადი რომლის ზუსტი იფორმაცია ქალაქში არსებულ არცერთ ინსტანციას არ გააჩნია, რაც გულუარსდა ქმნის აზრს რომ ამ სახის გადასახადის დათვლა ვერ

ხერხდება და შესაბამისად შემოსავლების კონტროლიც ვერ ხერხდება, არადა ამ სახის გადასახადებიდან მოზილიზებული თანხები მნიშვნელოვნად გაზრდიდა საშემოსავლო გადასახადის პოტენციურბაზას.

1998 წელს მოგების გადასახადის გეგმა შესრულდა 90.5%-ით, ამით ქ. თბილისის ბიუჯეტში დააკლდა 1815.8 ათასი ლარი. ამ წელს საქალაქო ბიუჯეტში მოგების გადასახადის გეგმა იყო 14027.5 ათასი ლარი, ამოღებული იქნა გეგმის 88.7%, ანუ 12446.6 ათასი ლარი. 1999 წელს ამ გადასახადის გეგმის მაჩვენებელი ჩამორჩება 1998 წლის მაჩვენებელს (78%), რაც იმითომ მოხდა რომ, გაზრდილი იყო ამ გადასახადის გეგმა (რომელმაც შეადგინა 20520 ათასი ლარი) და ამით ქ. თბილისის ბიუჯეტს დააკლდა 4507.4 ათასი ლარი. 1999 წელს კი საქალაქო ბიუჯეტში მოგების გადასახადის გეგმა იყო 14332.0 ათასი ლარი, ამ წელს მოგების გადასახადით ფაქტიურმა შემოსავალმა საქალაქო ბიუჯეტში შეადგინა 11495.6 ათასი ლარი ანუ გეგმა შესრულებული იქნა 80.2%-ით. მოგების გადასახადის გეგმაში 1998-99 წლებში გარკვეული უმნიშვნელო ზრდა შეიმჩნეოდა, თუმცა ფაქტიურმა შემოსავალმა კი იკლო ისევე როგორც ქ. თბილისის საქალაქო ბიუჯეტში შესულმა თანხებმა. ადმინისტრირების გაძლიერებით, შესაბამისი ინფორმაციული სისტემის შექმნით უფრო ადევილი იქნება ამ გადასახადის მობილიზება და შესაბამისად პოტენციამდე მიახლოება.

დამატებული ღირებულების გადასახადი ორივე წლებში ხასიათდება დაბალი შესრულების მაჩვენებლით (1998 წელს დღე შესრულდა 78.1%-ით, ხოლო 1999 წელს 90.5%-ით და ამ წელს ბიუჯეტის პროექტითვე გათვალისწინებული იყო 16245.0 ათასი ლარი, ნინა წლის გეგმა კი იყო 17785.5 ათასი ლარი). მიუხედავად იმისა რომ, 1998-99 წლებში ქ. თბილისის ბიუჯეტს დამატებით გადაეცა დღე გადასახადის 15%, აქედან გამომდინარე ვერ მოხერხდა სათანადოდ ამ სახის გადასახადის ზუსტი დადგენა, რამაც ასახვა პოვნა ამ გადასახადის გეგმის შეუსრულებლობაში.

საგვემო მაჩვენებლების შეუსრულებლობა ისეთ მსხვილ გადასახადებზე, როგორცაა საშემოსავლო, მოგების და დამატებული ღირებულების გადასახადები, იწვევს დიდ საბიუჯეტო დანაკარგებს. თუ გადავხედავთ 1998-99 წლების ქ. თბილისის საერთო შემოსავლებს ამ სამ გადასახადზე შესაბამისად მოდის მთლიანი შემოსავლების 60% და 54%, თუმცა არა ნაკლებ ზარალიანობა ბიუჯეტის სხვა გადასახადის შეუსრულებლობით.

ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის გადასახადი 1998 წელს შესრულდა 27.5%-ით. ამით ბიუჯეტის შესაბამის წელს დააკლდა 322.5 ათასი ლარი. ამის გამო ამ გადასახადის გეგმა 3-ჯერ ნაკლები იყო 1999 წელს, რამაც გამოიწვია თითქმის ხელოვნური გადაჭარბება (გეგმა 179.5%-ით შესრულდა) ფაქტიურად კი ნინა წელთან

შედარებით 5000 ლარით მეტი იყო შემოსული. ყველაზე დიდი შემოსავალი ადგილობრივი გადასახადებიდან მოდის სამეწარმეო საქმიანობის გადასახადზე. 1998 წელს ამ სახის გადასახადით მიღებული იყო 5194.3 ათასი ლარის შემოსავალი, ხოლო 1999 წელს - 6468.9 ათასი ლარი. ამ გადასახადის შესრულება ყოველთვის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება (1998-99.5% და 1999-104.3%). ამ გადასახადიდან მოზილიზებული თანხა შესაბამისად გაიზარდა საქალაქო ბიუჯეტში. 1999 წელს საქალაქო ბიუჯეტში სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადის გეგმა შესრულდა 102.8%-ით, ანუ საქალაქო ბიუჯეტში ამ კონკრეტული გადასახადიდან შემოსულმა ფაქტიურმა შემოსავლებმა 4337.1 ათასი ლარი შეადგინა. მიუხედავად წინა წელთან შედარებით გაზრდილი გეგმისა 1999 წლის გეგმა მაინც გადაჭარბებით იქნა შესრულებული (იხ. დიაგრამა 5).

ალსანიშნავია, რომ სათაბაშო ბიზნესის გადასახადიდან ქ. თბილისის ადგილობრივმა ბიუჯეტმა მიიღო 808.8 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ ამ გადასახადის შესრულებამ გეგმასთან მიმართებაში შეადგინა 80.4%, 1999 წელს ეს გადასახადი მაინც დაიგეგმა ოპტიმისტურად (2800 ათასი ლარი), ფაქტიურმა შემოსავალმა ვერ შეასრულა 1999 წლის სათაბაშო ბიზნესის გადასახადის გეგმა, თუმცა შემოსავლი წინა წელთან შედარებით 146% ათასი ლარით გაიზარდა.

სასტუმროს გადასახადიდან მიღებული შემოსავალი სტაბილურია. თუ გადავხედავთ ამ გადასახადის გეგმის შესრულებას 1998-99 წლებში შესაბამისად შესრულების მაჩვენებელი მაღალი იყო. ადგილობრივი გადასახადებიდან ყველაზე დაბალი შესრულების მაჩვენებლით ხასიათდება რეკლამის გადასახადი. 1998 წელს ამ გადასახადის ამოღებამ გეგმასთან მიმართებაში შეადგინა 78%, ხოლო 1999 წელს 83.5%.

რაც შეეხება არასაგადასახადო შემოსავლებს, მათი გეგმა იყო 3400.0 ათასი ლარი, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3823.0 ათასი ლარი, 1998 წლის არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა 102.2%-ით, ანუ ამ სახის გადასახადებისაგან შემოსულმა თანხამ შეადგინა 3908.5 ათასი ლარი. გეგმის შესრულება სრულებით არ გულისხმობს, რომ შემოსავლების ამ სახიდან მაქსიმუმი არის ამოღებული. სხვადასხვა მოსაკრებლებში თუ გადასახადებში არსებული რეზერვების გათვალისწინებით, ნათელია, რომ არასაგადასახადო შემოსავლებიდან მიღებული ციფრი არ შეესაბამება რეალობას (იხ. ცხრილი 4).

თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ნებართვების გაცემის, შესაბამისი მოსაკრებლების გამოანგარიშებისა და გადახდის წესებით განსაზღვრული მოსაკრებლების თანხების ადგილობრივი ბიუჯეტში ამოღება დაიწყო 1999 წლის პირველი ივნისიდან (წესების ძალაში შესვლისთანავე). თბილისის საფინანსო სამმართველოს 1999 წლის ბიუჯეტის წლიური შემოსავლები შემდეგ

ნაირად გამოიყურებოდა:

ფონდში.

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, ზემოაღნიშნული ფონდი არ შექმნილა.

ბიუჯეტში შემოსული თანხები მოსაპრობლეგის სახაზოპის მისამართით (ათ. ათ. ლარი)

მიუხედავად იმისა, რომ სანებართვო (სალიცენზიო) მოსაკრებლებს არ აქვთ ფისკალური ეფექტი, აღნიშნული ნებართვების გაცემისა, თუ ამოღების წესის სერიოზულ დახვეწას საჭიროებს.

თუ ჩაუღრმავდებოდა დავინახავთ, რომ ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ კანონით განისაზღვრა, რომ საკრებულოს მიერ დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:

ნებართვების მოსაკრებლათა დასახელება	გეგმიური	ფაქტიური	შესრულება %-ით
შენეწვლისათვის	50	56,7	113,4
ვაჭრობისათვის	1 885	810,7	43
გარე რეკლამის გავრცელებისათვის	500	86,1	17,2
სასოფლობაღი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვისათვის	50	59,9	119,8
ადგილობრივი საგზაო-სარეზინასორტი გასასვლისათვის	400	342	85,5
არქიტექტურული ობიექტების სტრუქტურულ-ფუნქციური წესების და იერსახის შეცვლისათვის	20	3,1	15,5
ავტორნასოსპორტის პარკების	500	461,6	92,3
სულ	3 405	1 820,1	50,7

1. ვაჭრობის წლიური ნებართვისათვის 50 ლარს;

2. გარე ვაჭრობისათვის (ვაჭრობა დროებით სადგომებიდან, ავტომანქანებიდან, შენობის გარეთ განლაგებული დახლიდან), ერთ სავაჭრო ადგილზე ყოველ დღე 2 ლარს;

3. ალკოჰოლიანი სასმელებით (გარდა საკუთარი წარმოებისა), თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობისათვის - „1“ და „2“ ქვეშეწვებით გათვალისწინებული მოსაკრებლის გაორმაგებულ ოდენობას.

თბილისის საკრებულომ, ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ კანონის შესაბამისად და ქალაქის ზონირების პრინციპის გათვალისწინებით შეიმუშავა ადგილობრივი მოსაკრებლების ოდენობები კონკრეტული სავაჭრო საქმიანობის მიმართ.

წესში მოსაკრებლის განაკვეთი და მისი გამონაგარიშების პრინციპი საკმაოდ რთულია.

ცხრილი №3 შედგენილია, ჩვენს მიერ, ცალკეული მოსაკრებლის დადგენილი განაკვეთის თვალსაზრისით ნაშრომის საფუძველზე.

ინდივიდუალური მენარმის სტატუსის არქონე ფიზიკური პირების მიერ მხოლოდ საკუთარი ძველმანი ნივთებით გარე ვაჭრობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ნულოვან განაკვეთით.

წესის შემუშავებისას ქალაქის ხელისუფლება შეეცადა მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა ვაჭრობის სფეროში ჩამოყალიბებული სიტუაცია და ხელი შეეწყო აღრიცხვიანობის პრობლემის მოგვარებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ ნაწილობრივ მაინც გადაეჭრა ის მწვევ პრობლემა, რომელსაც არასანქცირებული გარე მოვაჭრეები უწყობდა დედაქალაქს. იმ ფაქტზე თუ, რამდენად მიუხედავად დასახული მიზანი დედაქალაქის ხელმძღვანელობის მიღწეულ

გადამხდელი	I ზონა	II ზონა	III ზონა
საეპრო ობიექტები 20 კვ.მ-მდე/1წ. ვადით	120	84	60
საეპრო ობიექტები 20-100 კვ.მ-მდე/1წ. ვადით	240	168	120
საეპრო ობიექტები 100-500 კვ.მ-მდე/1წ. ვადით	360	252	180
საეპრო ობიექტები 500 კვ.მ-ზე მეტი/1წ. ვადით	480	336	240
ნათობაროდუქტები ვაჭრობა/1წ. ვადით	480	480	480
ბაზრების ან ბაზრობების ტერ-ზე განთავსებული ობიექტებისათვის/1წ. ვადით		*	
გარე ვაჭრობა (დღიურად)	0.5	0.3	0.3
ბაზრების ან ბაზრობების ტერ-ზე გარე ვაჭრობა	0.5	0.5	0.5
აღკისიდან სასმელები (გარდა საკუთარი წარმოებისა) და თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობა	**	**	**
აგრარულ ბაზრებზე მოვაჭრეები (დღიურად)	0.3	0.2	0.2
საკუთარი მკვლამანი ნივთებით გარე ვაჭრობა	0	0	0

შედეგებს, მეტყველებს ვაჭრობის ნებართვისათვის მოსაკრებლის თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზაციის მონაცემები.

თუკი შევადარებთ ქალაქში არსებულ მოვაჭრეთა რაოდენობასა და მოსაკრებლის იმ მიზერულ თანხებს, რაც 1999 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში იქნა დაგეგმილი და შესაბამისად, შესრულებული 43% ით, შეიძლება დავაკენათ, რომ:

❖ ვაჭრობის სფეროდან ამოსაღები მოსაკრებლის თანხა დაგეგმილი იქნა, ყოველგვარი ეკონომიკური გაანგარიშების საფუძველზე;

❖ ნებართვის სისტემა რეალურად არ მუშაობს, ანუ ქალაქში მოვაჭრეთა უღუდესი ნაწილი საეპრობას ახორციელებს ნებართვის გარეშე.

ექსპერტული შეფასებით, მარტო ე.წ. ვაჭრის რაოდენობის სამ ბაზრობაზე საცალო მოვაჭრეთა რაოდენობა აღწევს 5 500. სულ თბილისის მასშტაბით საცალო მოვაჭრეთა რაოდენობის უმცირესი ზღვარი 20 000 აღწევს. ამ ციფრებზე დაყრდნობით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაზრობებზე ვაჭრობის მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია 0.5 ლარით (არ ვითვალისწინებთ ალკოჰოლითა და თამბაქოს ნაწარმით მოვაჭრეთა კატეგორიას). აქედან გამომდინარე 7 თვის მანძილზე (მოსაკრებლის შემოღებიდან - 1999 წლის მინორულამდე) ბაზრობებზე მხოლოდ საცალო მოვაჭრეებიდან, ადგილობრივ ბიუჯეტში ამოღებული უნდა ყოფილიყო (0.5 * 30 * 7 * 20000 = 2 100 000) 2 100 ათასი ლარი, მოსაკრებლის სახით.

თუ მოვიყვანთ ადგილობრივ ბიუჯეტში, ვაჭრობის მოსაკრებლიდან შემოსავლები დაგეგმილი თანხის მოცულობას, რომელიც 1 885 ათას ლარს შეადგენს, დავინახავთ, რომ ვაჭრობის სფეროდან პოტენციურად ამოსაღები

მოსაკრებლის თანხის მოცულობა გაცილებით აღემატება ადგილობრივ ბიუჯეტში დაგეგმილს. აღვნიშნავთ, რომ ამ ეტაპზე საუბარი ზედმეტად ადგილობრივ ბიუჯეტში მოსაკრებლის თანხების სრულად ამოღებაზე შედეგ მიზნების გამო.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ვერ ხორციელდება ქვასურად გაზნული გარე მოვაჭრეებისა და ბაზრობების კონტროლი.

იმის გამო, რომ ნებართვის ადგილის პროცედურა ძალზედ გართულებულია, უმარჯეს შემთხვევაში ძნელდება ნებართვის ოპერაციულად და თავისდროულად გაცემა. რის გამოც მოვაჭრეები არიდებენ თავს ნებართვის აღებას. შესაბამისად, მოვაჭრეების მიერ გადახდილი მოსაკრებლის თანხები ადგილობრივი ბიუჯეტის ნაცვლად სხვადასხვა ჩინოვნიკების ჯიბეში ხვდება.

არ არის მკაცრად განსაზღვრული მკონტროლებელი ორგანოს ამა თუ იმ რანგის მოხელეების უფლებამოსილება რაც ნიციერ ნიადაგს ქმნის კორუფციისათვის.

❑ ნებართვის სისტემის შემოღება, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, არის კონკრეტული საქმიანობის რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, შესაბამისად იურიდიულ, თუ ფიზიკურ პირზე ნებართვის გაცემით ადგილობრივი ხელისუფლება ანიჭებს მათ კონკრეტული საქმიანობის განხორციელების უფლებას. შესაბამისად ნებართვისათვის მოსაკრებელი დაბეგვრის ობიექტი უნდა იყოს მხოლოდ საქმიანობის სფერო. აქედან გამომდინარე ნებართვის გაცემა უნდა ხდებოდეს კონკრეტული ტიპის საქონლის ვაჭრობაზე, მაკალითად თამბაქოთი და ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობა და მსგავსი.

* მოსაკრებელი განსაზღვრულია I ზონაში დადგენილი განაკვეთების ოდენობით;
** ამ პრობლემით ვაჭრობისათვის მოსაკრებელთა ოდენობა ირმადება, განსაზღვრულ კატეგორიათა შესაბამისად, ზონების მიხედვით.

❑ აუცილებელია ნებართვის გაცემის პროცედურის მაქსიმალური გამარტივება და ნებართვის მიმღებისადმი წაყენებული მოთხოვნების ლიბერალიზაცია.

❑ ზუსტად უნდა განისაზღვროს ნებართვის გაცემა ორგანოს პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება.

აქედან გამომდინარე, საქმე გვაქვს „ბიუროკრატიულ აპარატთან“, რომლის მეშვეობით შეგნებულად თუ შეუგნებლად ვერ ხერხდება ბიუჯეტში თანხების სრული მობილიზება. ამაში დახარშიწუნებლად კერძოდ ეს მაგალითი საკმარისია.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ დასარგულირებელია ვაჭრობის სისტემა, რადგან ქვეყანაში დღეისათვის მოვაჭრეთა დაახლოებით 60% არალეგალურად ვაჭრობს. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრირების მექანიზმი არის გაუმართავი და ეს მექანიზმი შორსაა რეალურ მდგომარეობასთან, რადგან არსებული მოვაჭრეები დაახლოებით 6-7 წერტილზე დახვნილია „მოსაკრებლის“ სახით, რომელიც კონკრეტული ჩინოვნიკების ჯიბეში მიდის.

იგივე შეიძლება ითქვას, სამხრეთ-სატრანსპორტო გადაზიდვის ნებართვისათვის მოსაკრებელზე.

თბილისის მინის ზედა სატრანსპორტო სისტემაში მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა იყო, რაც გამოიხატება სატენდერო სისტემის არარსებობაში, კორუფციაში, არაუცვლელობაში. აღვნიშნავთ, რომ არსებული პრობლემები განხორციელებული იყო არ იმდენად ნების გაუმართაობით, არამედ უფრო მეტად სისტემის მოუწესრიგებლობით. პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს:

სამშპსპრო(სატრანსპორტო) ზაფაზიშვილს
ნებართვისათვის მონაპროექტი

სამშპსპრო-სატრანსპორტო საშუალებების ტყეაობა	თვეში
7 კაცამდე	20 ლარი
8-დან 16 კაცის წაყვდა	25 ლარი
17 კაცის და მეტი	5 ლარი

❑ არსებული საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოფხვრა;

❑ ახალი სატრანსპორტო სექტორში შემუშავება, რომელიც უკეთ შეესაბამება თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის წინაშე მდგომ პრობლემებს;

❑ ტრანსპორტის რეგულირების სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

რაც შეეხება „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონით ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისათვის დადგენილი მოსაკრებლის განაკვეთის ზედა ზღვარი განსაზღვრულია საათში 20 თეთრის ოდენობით.

ნების თანახმად, დამტკიცებული მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს საათში 20 თეთრს (1 ლარი - 59 წუთამდე დრო მრგვალდება მეტრობით და განიხილება, როგორც სრული საათი), როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირებისათვის.

უმათერეს ხარვეზად მიგვაჩნია მოსაკრებლის განაკვეთის არადიფერენცირებულობა ამა თუ იმ პარკირების ზონის მიხედვით. ქალაქში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ოპტიმალური გადაადგილებისათვის, ასევე ცენტრალურ მაგისტრალზე მოძრაობის განტვირთვისათვის აუცილებელია მოსაკრებლის განაკვეთის რანჟირება. ასეთი პრინციპი დანერგვია და ეფექტურიადაც მოქმედებს განვითარებული ქვეყნების უმეტეს ქალაქებში.

რეალობა გვიჩვენებს, რომ თბილისში არსებული ფასიანი ავტოსადგომებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა განთავსება, შესაბამისად მოსაკრებლის თანხების შეგროვება ქაოტურ და უკონტროლო სახითაა ატარდება. წესი პრაქტიკულად არ მუშაობს.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა ქალაქში პარკირების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, რაც გულისხმობს:

❑ პარკირებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსული მოსაკრებლის თანხის დაგეგმვა რეალური ეკონომიკური გაანგარიშების საფუძველზე;

❑ ფასიანი ავტოსადგომების რაოდენობის და განლაგების დაგეგმარება ქალაქის საგზაო ქსელის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა ნაკადების და ეფექტური მოხარულითა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის;

❑ პარკირების სისტემისათვის ადექვატური ინფრასტრუქტურის დანერგვა, მოსაკრებლის გადახდის პროცედურის გამარტივებისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის, რაც ხელს შეუწყობს თანხების მობილიზაციას და კონტროლის სისტემის გაძლიერებას;

❑ ქალაქში მომარაგებული უკანონო ფასიანი ავტოსადგომების აღმოფხვრა.

ასევე ცუდი მდგომარეობაა მშენებლობის დანყებისათვის მოსაკრებელზე, თბილისში კერძო პირების მიერ განხორციელებული სამშენებლო სამონტაჟო საშუალებების უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება უნებართვოდ, ყოველგვარი პროექტის გარეშე. აღნიშნულ მშენებლობას ახორციელებენ ლიცენზიის არ მქონე სამშენებლო სუბიექტები, რადგან ასეთი სახის მომსახურება უფრო ათვისა და ამაჯავროვლად ისინი თავს არიდებენ ნებართვის აღებასთან დაკავშირებულ ბიუროკრატიულ პროცედურას.

აქედან გამომდინარე დასარგულირებელია კონტროლის მექანიზმები უნებართვო მშენებლობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

დღეისათვის არსებული და დანერგული მოსაკრებლების სისტემა მოკლებულია ეკონომიკური გაანგარიშების ლოგიკურ საფუძველს.

რაზეც მეტყველებს ადგილობრივი ბიუჯეტის სალიცენზიო მოსაკრებლების არასწორად დაგეგმილის 50%-ით შესრულება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქალაქში არ არსებობს მერიის მიერ გაცემული ნებართვების რეესტრი, რაც არის იმის გარანტი, რომ არ არსებობს რეალურად ინფორმაცია თუ ქალაქში

აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე შეიმუშაოს სალიცენზიო რეესტრი, სალიცენზიო მოსაკრებლების ადგილობრივი მხარე 1999 წელს დაიწყო დიდი წარმატებით იყენებდა

რაშიდენ და რასაქმიანობაზე გაიცემა ნებართვები. ეს საკითხი ადგილობრივი ხელისუფლებას კანონით პირდაპირ არ აქვს განსაზღვრული, მაგრამ მათაც შეუძლიათ მიიღონ ამის შესახებ გადაწყვეტილება.

აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე შეიქმნას სანებართვო და ადგილობრივი სალიცენზიო რეესტრის სისტემა. ზემოთ აღნიშნული მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსაკრებლების ადმინისტრირების მხრივ 1999 წელს დიდი ხარვეზები იყო, ისევე როგორც წინა წლებში. „შეუიარაღებელი თვალითაც“ და „მარტივი მათემატიკური“ გათვლებითაც კი შეიძლება დავინახოთ თუ რაოდენ დიდი თანხა იმალება ამის უკან, ხოლო რეზერვებზე რომელზეც ასე ხშირად და საუბარს სწორედ ამ ხარვეზების აღმოფხვრით შეიძლება იყოს მობილიზებული.

ადგილობრივი ბიუჯეტების დაბალანსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ტრანსფერო ცენტრალური ბიუჯეტიდან. ტრანსფერი, როგორც წესი არის მიზნობრივი ხასიათის. ძირითადად იგი გამოიწვევს სოციალური სფეროს დაფინანსებაზე.

1998 წელს თბილისის ბიუჯეტს დაგეგმილი ჰქონდა 4454 ათასი ლარი, ხოლო რეალურად მიღებული იყო 10975 ათასი ლარი, ანუ დაგეგმილის მოცულობის 24%. 1999 წელს 600 ათასი ლარი, ხოლო მიღებული იყო მხოლოდ 450 ათასი ლარი, ანუ გეგმის 87%. 2000 წელს კი დაგეგმილი ტრანსფერის მოცულობა იყო 3500 ათასი ლარი.

2001 წლისათვის თბილისის ბიუჯეტში აღარ იყო გათვალისწინებული ტრანსფერი ცენტრალური ბიუჯეტიდან.

სრულიად განსხვავებულად შეიძლება მიუვადოთ 2000 წლის ქ. თბილისის საშემოსავლო ნაწილს. ამ წელიწადში მთლიანი შემოსავლების გეგმა შეადგინა 138516.5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 92.44%-ით ანუ სასულ შემოსავლების ჯამმა შეადგინა 128050.82 ათასი ლარი. სწორედ 2000 წლის ივლისში მოხდა ბიუჯეტის სექცეფი. ამ წელიწადში, კერძოდ აპრილის თვეში შეწყდა ქ. თბილისის ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის 15%-ის დატოვება და ეს

უკანასკნელი ძველებზე 100%-ით გადაეცა ცენტრალურ ბიუჯეტს (იხ. ცხრილი 5).

2000 წლის I კვარტალში ქ. თბილისის ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის 15% მაინც იქნა დატოვებული და მისმა ჯამმა 4172.56 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 102.04%. ამ გადასახადის მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში დატოვებით ქ. თბილისის ბიუჯეტმა მნიშვნელოვანი სასარგებლო დაკარგა, თუ გაითვალისწინებთ წინა წლებში ამ გადასახადიდან მიღებულ თანხას (28592.4 ათასი ლარი)

ადგილი მისახვედრია თუ რა მნიშვნელობანი თანხები შეიძლება მიიღოს ქალაქის ბიუჯეტს.

ისევე როგორც წინა წლებში ასევე 2000 წელსაც ქ. თბილისი ბიუჯეტის დიდ ნაწილს შეადგენდა საშემოსავლო გადასახადი. ამ წელს ამ გადასახადის გეგმა იყო 45552.10 ათასი ლარი, ხოლო ფაქტი 46946.22 ათასი ლარი ანუ გეგმის 103.06%. წინა წლებთან გასხვავებით საშემოსავლო გადასახადი გეგმაზე გადაჭარბებით იქნა ამოღებული. მაგრამ თუ განვიხილავთ რეზერვებს, საჭირო იქნება გაითვალისწინოთ პრევენციული გადასახადი, რომლის მოქმედების ვადა საგადასახადო კოდექსში ცვალებების შეტანის შემდეგ გააგრძელდა განსაზღვრული დროით, ხოლო ამ გადასახადიდან შემოსავალი (ფაქტი) განსაზღვრულიც კი არ არის. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ რომ გადასახადის ამ სახეს სერიოზული რეზერვები აქვს და ალბათ საჭირო იქნება ამ რეზერვების მობილიზება რაც საერთო ჯამში ქ. თბილისის ბიუჯეტს მნიშვნელოვან შემოსავლებს მისცემს.

ქ. თბილისის ბიუჯეტის შემოსავლებში არანაკლებ მნიშვნელოვანია მოგების გადასახადი, თუმცა 1998-99 წლების მსგავსად ვერა და ვერ მოხერხდა ამ გადასახადის გეგმის სრულად შესრულება. 2000 წლის ბიუჯეტში მოგების გადასახადი დაგეგმილი იყო 26481.50 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 23243.14 ათასი ლარი ანუ დაგეგმილის 87.77%. ამ სახის გადასახადის შეუსრულებლობა გარკვეულწილად შეიძლება გამოწვეული იყოს სრული ინფორმაციის არ ქონით, ხოლო ის რეზერვები რომელიც ამ გადასახადში შეიძლება არსებობდეს ინფორმაციული სისტემის სრულყოფითა და ადმინისტრირების გაძლიერებით შეიძლება იქნეს მობილიზებული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მინის გადასახადი, რადგან სწორედ ეს გადასახადი რჩება ადგილობრივ ბიუჯეტში 100%-ით. მინის გადასახადი 2000 წელს დაგეგმილი იყო 26481.50 ათასი ლარით, თუმცა ამ გადასახადის ფაქტიურმა შესრულებამ 23243.14 ათასი ლარი შეადგინა, რაც დაგეგმილის თითქმის ნახევარი 51.62%-ია. მინის

გადასახადის შესრულების დაბალი მაჩვენებელი მხოლოდ ადმინისტრირებას შეიძლება მივაკუთვნოთ. ნაცვლად იმისა, რომ ეს გადასახადი პოტენციალამდე მიახლოვებულიყო 2000 წელს დაგეგმილის ნახევარით შესრულდა.

2000 წლის ბიუჯეტში ასევე ვერ იქნა სრულად მობილიზებული გადასახადი გაუნებრივი რესურსების ხარვეზებისათვის. ამ გადასახადის გეგმამ 2000 წელს შეადგინა 440.00 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსავლებმა კი 292 ათასი ლარი ანუ გეგმის 66.36%. ამ გადასახადისგან განსხვავებით შედარებით უკეთ იქნა მობილიზებული გადასახადი მავნე ნივთიერებებით ვარემოს დაბინძურებისათვის. ამ უკანასკნელის ფაქტიურმა მაჩვენებელმა 5044.26 ათასი ლარი შეადგინა, ეს კი წინა წლის ფაქტიურ მაჩვენებელზე თითქმის 4000 ათასი ლარით ნაკლებია (1998 წლის ფაქტიური მაჩვენებელია 9044.26 ათასი ლარი). დღევანდელ სიტუაციას მივხვდებით, რომ ამ გადასახადის პოტენციალი დღედაღღ იზრდება ხოლო ფაქტიური შემოსავალი შემცირებული გეგმების მიუხედავად მაინც ვერ სრულდება.

2000 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში სხვა გადასახადებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი შემოსავლები მოაქვს ქ. თბილისის ბიუჯეტისათვის ქონების გადასახადი. დაგეგმილი 16000.00 ათასი ლარიდან ფაქტიურმა ამოღებამ 15115.52 ათასი ლარი შეადგინა, ეს კი გეგმის 94.47%-ია. ძირითადად ამ გადასახადის ამოღება ხდება საწარმოთა ქონების გადასახადებიდან. თუ ვილაპარაკებთ ამ გადასახადის რეზერვებზე, საჭირო იქნება ყურადღება გადაამახვილოთ ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადზე, რომლიდანაც ფაქტიურად არანაირი შემოსავალი არ შედის ბიუჯეტში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქონების გადასახადის ასეთი კონკრეტული სახის დაგეგვა, კონტროლირება, ამოღება შეუძლებელია დეკლარირების (ფიზიკური პირების ქონების მდგომარეობის განცხადების) სისტემის გარეშე. დეკლარირების სისტემაზე გადასვლა ნათესი გახდის ქონების გადასახადში მყოფ ყველა რეზერვს, რის შემდეგაც ამ გადასახადის მობილიზებაც არ იქნება ძნელი.

გაცილებით კარგად იქნა მობილიზებული 2000 წლის ბიუჯეტში გადასახადი ქონების გადაცემისათვის. ამ წელს ამ გადასახადის გეგმამ შეადგინა 1900 ათასი ლარი. 1998-99 წ. მსგავსად გადასახადი ქონების გადაცემისათვის შესრულებული იქნა გეგმაზე გადაჭარბებით, კერძოდ 2794.71 ათასი ლარი, რაც გეგმის 147.09%-ია. როგორც უკვე აღნიშნეთ ამ გადასახადის პოტენციალი უფრო და უფრო იზრდება და შესაბამისად ამ გადასახადიდან შემოსავლების მობილიზების ხარვეზი ქ. თბილისის ბიუჯეტში ფაქტიური შემოსავლებიც იზრდება.

2000 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტში იყო ადგილობრივი გადასახადები დაგეგმილი იყო 12650 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავლებმა კი

შეადგინა 11381.63 ათასი ლარი ანუ გეგმა შესრულდა 89.97%-ით. 1998-99 წლებთან შედარებით ადგილობრივი გადასახადის როგორც გეგმა ასევე ფაქტიური შემოსავლები მატულობს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ სახის გადასახადებიდან შემოსული თანხები ყოველ წელიწადს მატულობს.

ადგილობრივი გადასახადებიდან მობილიზაციის თვალსაზრისით 2000 წელს შეიძლება გამოვყოთ გადასახადი ეკონომიკური საქმიანობისათვის, რომლის გეგმამ 2000 წელს შეადგინა 10000.00 ათასი ლარი. ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 8879.06 ათასი ლარი ანუ გეგმის 88.79%. თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, კერძოდ ეკონომიკური აღმავლობას ადვილია იმის დასკვნა რომ, ამ გადასახადის პოტენციალი უფრო და უფრო იზრდება, ეს ალბათ დასაბუთებულად 1998-99 წლების მაჩვენებლებსაც გაიხსენებთ, ამ წლებში, შესაბამისად, 5194.3 ათასი ლარი და 6468.9 ათასი ლარი იყო.

ადგილობრივი გადასახადებიდან საყურადღებოა სასტუმროს გადასახადი და რეკლამის გადასახადი, რადგან ამ გადასახადების გეგმიური მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით გაცილებით დაბალია. მართალია 2000 წელს სასტუმროს გადასახადი გადაჭარბებით, კერძოდ 105.77%-ით შესრულდა, თუმცა ამ მაჩვენებლის მიღებას შეიძლება „ხელოვნური“ ვუნდოთ, რადგან ამ წლის გეგმა წინა წლების გეგმებთან შედარებით განახევრებული იყო და შესაბამისად ამ გადასახადის გეგმის ზევით შესრულებაც არ არის გასაკვირი. რაც შეეხება რეკლამის გადასახადს, რომლის გეგმა 2000 წელს 500.00 ათასი ლარი იყო, ხოლო ფაქტიური შემოსავლები 453.20 ათასი ლარი ანუ გეგმის 90.64%, იგი 1998-99 წლების ფაქტიურ მაჩვენებელთან შედარებით 77 ათასი ლარით და 298.60 ათასი ლარით ნაკლები იყო შესაბამისად.

ქ. თბილისის თვითმმართველობას საკმაო რაოდენობის მოსაკრებელი აქვს დანესხებული, რომელთა საერთო ჯამმა 2000 წელს გეგმით 5075.60 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიური შესრულებით 3319.32 ათასი ლარი შეადგინა, ეს კი გეგმის 65.40%-ია.

მოსაკრებლებიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ სალიცენზიო მოსაკრებლებს, რომლის გეგმა 2000 წელს 4260.60 ათასი ლარი იყო. ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ ამ წელს შეადგინა 2747.11 ათასი ლარი, რაც გეგმის 64.48%-ია. ამ სახის დაბალმა მაჩვენებელმა საკმაოდ დიდი ოდენობის თანხები დააკლო ქალაქის ბიუჯეტს. ჩვენს აზრით, ამ სახის მოსაკრებლის მობილიზება ბიუჯეტში შესაძლებელია შესაბამისი სკანონმდებლო ბაზის შექმნით და აღრიცხვიანობის პრობლემების მოგვარებით.

რაც შეეხება სატენდერო მოსაკრებლებს, 2000 წელს ამ მოსაკრებლის გეგმა იყო 15.00 ათასი ლარი

გეგმა შესრულდა 95,67%-ით ანუ მოცულობა იქნა 14,35 ათასი ლარი. სატენდერო მოსაკრებელი, როგორც გეგმა ასევე ფაქტიური შემოსავალი, საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია ქ. თბილისისათვის. ძირითადად ეს აიხსნება იმით, რომ ცდილობენ ტენდერზე გვერდის ავლას, კერძოდ „თანხების დაყოფით“, რათა სახელწიფო შესყიდვების თანხობრივი მოცულობას ითვლინა მინიმალურ ზღვარს არ ასცდეს, რომელსაც ტენდერის ჩატარება მოეთხოვება. ხშირად კანონის უხეში დარღვევით ტარდება ტენდერები. სატენდერო მოსაკრებლის რეზერვებიც სწორედ აქ არის საძებნი. ალბათ საჭიროა შესაბამისი მექანიზმის შექმნა, რომელიც მკაცრად გააკონტროლებს ამ პროცესებს.

2000 წლის არასაგადასახადო შემოსავლებს, მათმა გეგმიურმა ჯამმა შეადგინა 1020,90 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა მაჩვენებელი 906,339 ათასი ლარი, რაც გეგმის 88,81%-ია. ამ წელს სუბცილური შემოსავლებიდან რეზერვების სახით მნიშვნელოვანი სახსრები იქნა ამოღებული, დაგეგმილი 2757,00 ათასი ლარის ნაცვლად შემოვიდა 4089,83 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 148,34%-ით. ამ სახის არასაგადასახადო შემოსავლებიდან შემოსულმა თანხამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა გეგმიურ მაჩვენებელს. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი თანხა იქნა შემოსული სახელმწიფო ქონების (გარადა მიწისა) გაყიდვიდან, პრივატიზებიდან. ამ სახის არასაგადასახადო შემოსავლებიდან შემოსულმა თანხამ 3935,14 ათასი ლარი შეადგინა, მართალია ფაქტიური მაჩვენებელი გეგმიური მაჩვენებლის ნახევარს ცოტათი აღემატება, თუმცა არა თქმაუნდა ის თანხა რაც ამ სახის არასაგადასახადო შემოსავლიდან იქნა მიღებული მნიშვნელოვანი შემოსავალია ქალაქის ბიუჯეტისათვის.

მოსაკრებლების მხრივ, წინა წლებთან შედარებით არც ეს წელი იყო გამონაკლისი, იგი „სატაბულური“ შემოსავლით ხასიათდებოდა, წინა 1999 წელთან შედარებით მობოლიზაციის თავსებადობით არაფერი არ შეცვლილა გარდა გეგმისა. დარღვევების თვალსაზრისით არც 2000 წელი არ იყო გამონაკლისი. მაგალითისათვის საინტერესო იქნება შემდეგი მონაცემები ქ. თბილისის საქალაქო ტრანსპორტის ორგანიზაციისა და მართვის სამსახურის მიერ მოწოდებული. 2000 წლის სექტემბერს - 27, ორტომბერს - 20, ნოემბერს - 17, დეკემბრის დასაწყისში - 8 კერძო ტაქსების ნებართვა იქნა გაცემული, თუ ქალაქში მოსიარულე კერძო ტაქსების რაოდენობას შევადარებთ იმ კერძო ტაქსებს რომლებსაც ნებართვა აქვს აღებული სრულიად განსხვავებულ ციფრებს მივიღებთ. სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვის ნებართვისათვის მოსაკრებელი 7 კაცამდე სამგზავრო-სატრანსპორტო საშუალებების ტევადობაზე განსაზღვრულია 20 ლარის ოდენობით თვეში. ადვილი მისახვედრია თუ რა რაოდენობით თანხები იყრის თავს მარტო ამ კონკრეტულ მოსაკრებელში.

სულ საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავალმა 2000 წელს გეგმით შეადგინა 135283,00 ათასი ლარი, ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 124817,87 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 92,26%-ით. წინა წლებთან შედარებით ეს მაჩვენებელი თანდათან მატულობს, რაც რეალურად გივირვენებს რომ ქ. თბილისის ეკონომიკური პოტენციალი დღითიდღე უზრდვებს იმდენიარეობს იმ რეზერვების ამოქმედება რომელსაც რეალური შემოსავალი შეუძლია მოუტანოს ქ. თბილისსა და ცენტრალურ ბიუჯეტებს. თუმცა შეუძლებელია ამის გაკეთება წინა წლებში დაგროვილი გამოცდილების გამოყენების ნაცვლად და შეიცვალეს გამოსწორებად, რასაც ხშირად ცუდ შედეგამდე მივყავართ. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს გეგმიური მაჩვენებლის შეუსრულებლობას და ა.შ. აუცილებელია დაიხედოს საკანონმდებლო მხარე, ასევე საჭიროა ინფორმაციული ბაზის სრულყოფა. ადმინისტრირების გაძლიერება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როცა მიიღწევა რეალური საფუძველი როგორც ქალაქის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის.

თბილისის ბიუჯეტის შემოსავლები ხასიათდება ზრდის ტენდენციით. შემოსავლების ზრდაში დიდი წვლილი აქვს თითოეული გადასახადის საშემოსავლო ბაზის ზრდას. ამასთან სახელმწიფო შემოსავლებიდან ანარქიზები გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე 2000 წლის 13 იელისის საქართველოს კანონი დადგინდა ქ. თბილისის ბიუჯეტში მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან ანარქიზების ახალი გრძელვადიანი ნორმატივები (თითოეულ გადასახადზე 85%, ნაცვლად 60%-სა), რაც მხოლოდ 2000 წლის აგვისტოდან წლის ბოლომდე 8000 ათასი ლარის დამატებით შემოსავლას მისცდა ქალაქის ბიუჯეტს, ხოლო მომავალ წელს დაახლოებით 23-25 მლნ ლარს.

შემოსავლების ზრდას აგრეთვე ხელი შეუწყო მავნე ნივთიერებებით (ნავთობპროდუქტებით) გარემოს დაბინძურებისთვის გადასახადის რევიზის შეცვლა, რამაც თბილისის ბიუჯეტის წლიური შემოსავლები საშუალოდ 3-5 მლნ ლარით გაზარდა. გარდა ამისა ბოლო წლებში რეგულარული ხასიათი მიიღო ქვეყნის ქალაქებსა და რაიონებში განლაგებული დამოუკიდებლად ფუნქციონირებელი საარმოებისა და სამურწეო ორგანიზაციების გაერთიანებამ დედაქალაქში. რეგისტრირებული გაერთიანებების, ფირმებისა და სხვა იურიდიული ფირმების ფლიალები და სტრუქტურულ ქვედანაყოფები. შედეგად ფლიალებად ქცეული საწარმოებისა და ორგანიზაციების გადასახადების ეს ნაწილი მოექცა დედაქალაქის ბიუჯეტში.

მართალია ქ. თბილისის ბიუჯეტში შემოსავლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ

გასათვალისწინებელია რეზერვები, რომელიც ქალაქს გააჩნია და ამ რეზერვების გამოყენება შესაძლებელია, თუ ქალაქის ხელმძღვანელობის, როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო, მიზანი იქნება არა მარტო „გეგმა“, არამედ პოტენციალიც.

ბიუჯეტში უნდა იქცეს სახელმწიფო იდეოლოგიის გამოხატველ და პრაქტიკაში განმარტოვებულ დოკუმენტად. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება განვიხილოთ იგი როგორც მხოლოდ ცხრილებს ნაკრებ, რომელიც ადგილობრივი (რეგიონალური) სახსრების ხარჯვის უზღვევას იძლევა და არ გვეუბნება თურა მიზანს ემსახურება და რა შედეგს ევლით ამ სახსრების ხარჯვისაგან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როდესაც ლაპარაკია გამჭვირვალობაზე, ეს არ უნდა აღიქმებოდეს როგორც მხოლოდ ფინანსური სახსრების მოძრაობის აღნიშვნა, აქ მიზნებისა და მისი მიღწევის საშუალებების გამჭვირვალობაზე უნდა იქნეს ნაგულისხმევი. გადასახადის გადახდელმა უნდა ნახოს, თუ სად მიდის და რა მიზანს ემსახურება მის მიერ გადახდილი გადასახადი. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტი არ არის მარტო ფინანსური გეგმა, ის არის პოლიტიკური დოკუმენტი, ე.ი. პოლიტიკურად ბიუჯეტი ასახავს გარკვეული სახის კონსენსუსს ადგილობრივ (რეგიონალურ) პრიორიტეტებთან მიმართებაში.

ნებისმიერი ბიუჯეტის რეალურობის ხარისხი კი სწორედ იმით განისაზღვრება თუ რამდენად არის გააანალიზებული მოცულებული პერიოდის მანძილზე ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი ძვრები და რამდენად სწორი დასკვნები იქნება გაკეთებული იმ ეკონომიკური და პოლიტიკური ნაპირბოძებისა და პერიოდის ფაქტიური შედეგებიდან, რომელიც წინ უსწრებს პროექტირებად საბიუჯეტო წელიწადს.

ხარჯ.3000 ნაწილი

საქართველოს კანონით საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები დამოუკიდებლად წყვეტენ შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავლის გამოყენების მიმართულებებს, გარდა იმ მიზნობრივი ტრანსფერებისა და სესხებისა, რომლებიც გადაეცემა შესაბამის ბიუჯეტს სხვა დონის ბიუჯეტიდან; აგრეთვე მათ (ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების) ბიუჯეტში იქმნება

